

მეთოდური მითითებები სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით

წინასიტყვაობა

შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებებისა და მოთხოვნების სპეციფიკაციების სახით სწორად ჩამოყალიბება ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისი შესყიდვის ობიექტის მიღების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა შემსყიდველ ორგანიზაციებს ავალდებულებს, სახელმწიფო ტენდერებში მაქსიმალური კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, აღწერონ საჭიროება დეტალურად და ამომწურავად და, ამავდროულად, დაიცვან თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები. შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, აღწეროს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები კონკრეტული ბრენდისა და მოდელის მითითების გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვის წარმატებულად განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას გასაგებად, ნეიტრალურად, თუმცა, ამავდროულად, შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისად და ამომწურავად გაწერილი სპეციფიკაციები განეკუთვნება. ბუნებრივია, სპეციფიკაციების შემუშავებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის საკუთარი, ასევე დარგის სპეციალისტების ექსპერტიზა. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია არქივირდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სატენდერო დოკუმენტაციების და მიმწოდებლების სატენდერო წინადადებების სახით. საჭიროების განსაზღვრისა და სპეციფიკაციების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შესაბამის მიწოდების ბაზარზე დამკვიდრებული უახლესი ტექნოლოგიები და მიდგომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით არასტანდარტიზებული ობიექტების შემთხვევაში, მისაღები/სასურველი ხარისხის ნეიტრალური სპეციფიკაციების სახით აღწერა, სათანადო დარგის სპეციალისტების ჩართულობის გარეშე, შესაძლებელია შეფასდეს საკმაოდ რთულ

და შრომატევად ამოცანად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, შემსყიდველი ორგანიზაციები, შესყიდვის ობიექტის აღწერისას, იყენებენ შესაბამის ქვეყანაში მოქმედ და/ან საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ სტანდარტებს. სწორედ სტანდარტების შემუშავებისას, მრავალი დარგის სპეციალისტის ექსპერტიზის გათვალისწინებით, წესები, პრინციპები თუ მახასიათებლები აღიწერება ნეიტრალურობის პრინციპის სრული დაცვით. შესაბამისად, სტანდარტის გამოყენებით, შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამარტივდეს შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი პარამეტრების აღწერის და, შესაბამისად, ხარისხიანი შესყიდვის ობიექტის მიღების პროცესი.

წინამდებარე მეთოდური მითითებების მიზანია, მისცეს შემსყიდველ ორგანიზაციებს პრაქტიკული ინფორმაცია, რეკომენდაციები და მაგალითები სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსთან (GeoSTM) გამართული კონსულტაციების შედეგად, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ჩვენთვის მოწოდებული ცალკეული ინფორმაციები, რისთვისაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მადლობას უხდის ზემოაღნიშნულ უწყებას კოლეგიალობისა და გამოჩენილი გულისხმიერებისათვის.

1. სტანდარტის არსი და უპირატესობები

საქართველოში სტანდარტების შემუშავებას, რეგისტრაციასა და ამ სტანდარტების გავრცელებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GeoSTM). საქართველოს კანონის [„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“](#) შესაბამისად სტანდარტი არის-კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი,

რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/ მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით“. აღნიშნული კანონის შესაბამისად „სტანდარტს სამართლებრივი სტატუსი ენიჭება სააგენტოს ([GeoSTM](#)) მიერ ამ სტანდარტის სტანდარტების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ“¹.

ზემოაღნიშნულის მსგავსად, სტანდარტს განმარტავს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ([ISO](#)²), რის მიხედვითაც, სტანდარტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს მოთხოვნებს, სპეციფიკაციებს, სახელმძღვანელო მითითებებს ან ნიშან-თვისებებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროცესების, პროდუქტებისა და მასალების ვარგისიანობის/დანიშნულების აღწერისა და შეფასებისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, სტანდარტს შესაძლებელია მიენიჭოს მრავალმხრივი მნიშვნელობა, იქიდან გამომდინარე, რომ სტანდარტები არსებობს, როგორც ცალკეულ პროდუქტებთან, ასევე პროცესებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, კედლის აშენება, ფილების დაგება და ა. შ.

პროდუქტის სტანდარტი გულისხმობს პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების და/ან ტესტირების მეთოდების ზუსტ აღწერას. ამისგან განსხვავებით, პროცესის სტანდარტი გულისხმობს კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბებას, რომელთა დაცვითაც საჭიროა წარმართოს კონკრეტული პროცესი (მაგალითად, რას ნიშნავს კედლის ხარისხიანად აშენება ან რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ კედელი აშენებულია ხარისხიანად).

სტანდარტის გამოყენების ძირითად უპირატესობებს განეკუთვნება:

- ტექნიკური ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა - სტანდარტები დეტალურად აღწერენ მათი რეგისტრაციის მომენტში დამკვიდრებულ თანამედროვე

¹ იხ. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 68-ე მუხლის „სტანდარტის შემუშავება და მიღება“ მე-5 პუნქტი.

² ქართული აბრევიატურა „ისო“.

ტექნოლოგიებსა და მიდგომებს. კონკრეტულ სტანდარტზე ბმა უზრუნველყოფს სპეციფიკაციების შესაბამისობას თანამედროვე ტექნოლოგიებთან. შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიები გაითვალისწინება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია თავად არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ.

- ხარისხის უზრუნველყოფა - კონკრეტულ სტანდარტზე მითითებით, შემსყიდველი ორგანიზაცია აღწერს შესყიდვის ობიექტს, რომელიც ხარისხობრივი პარამეტრებით სრულად დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.
- უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინება - უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ასპექტები განეკუთვნება ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სტანდარტების ფარგლებში. შესაბამისად, სტანდარტებზე მითითებით ავტომატურად იქნება გათვალისწინებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ასპექტები.
- შესყიდვის ობიექტის აღწერის სისრულე - სტანდარტების გამოყენების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ასეთ შემთხვევაში ხორციელდება ჰარმონიზებული ტექნიკური სპეციფიკაციების მეშვეობით მუშაობა. აღნიშნული მიდგომით უზრუნველყოფილია შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების სიზუსტე, რაც აადვილებს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობას. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ მიმწოდებელი სწორად ვერ აღიქვამს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნას და მიაწვდის მისთვის გამოუსადეგარ პროდუქტს, მცირდება მინიმუმამდე.
- ნეიტრალურობა - სტანდარტები აღწერს მოთხოვნებს კონკრეტულ პროდუქტთან თუ პროცესთან მიმართებით. ამასთან, სტანდარტი ნეიტრალური ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ სტანდარტის შემთხვევაში აქცენტი ყოველთვის კეთდება სასურველ შედეგზე და არა შედეგის მიღწევის კონკრეტულ გზაზე. შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის აღწერა

სტანდარტებზე მითითებების გზით უზრუნველყოფს თანასწორი მოპყრობისა და ნეიტრალურობის პრინციპების დაცვას.

- მოკლე და ლაკონური სპეციფიკაციები - სტანდარტის დეტალური და ამომწურავი ხასიათის გათვალისწინებით, მასზე მითითების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება სპეციფიკაციების შესამუშავებლად საჭირო რესურსი. ყოველივე ზემოაღნიშნული ამცირებს სატენდერო დოკუმენტაციის მოცულობას, სპეციფიკაციების სისრულის დარღვევის გარეშე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უპირატესობებისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში სტანდარტების დაკმაყოფილების მოთხოვნის განსაზღვრას. სტანდარტის გამოყენებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა გაითვალისწინოს, რომ სტანდარტების გამოყენება და შესყიდვის ობიექტის შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენა დაკავშირებულია დამატებით პროცედურებთან, რაშიც შეიძლება მოვიაზროთ, მაგალითად, ექსპერტიზის ჩატარება, სერტიფიკატის მიღება და სხვა, რამაც შესაძლებელია გააძვიროს სატენდერო წინადადების ფასი. ამასთანავე, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს სტანდარტებს და ითხოვს შესაბამის სერტიფიკატებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს, კონკრეტული შესყიდვის ხასიათიდან გამომდინარე, გამართლებული და მიზანშეწონილი არ არის, შემსყიდველი ორგანიზაციის ამგვარმა ქმედებამ შესაძლებელია გაუმართლებლად შეზღუდოს კონკურენცია.

ერთ-ერთ ტიპურ რისკს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ქვეყანაში ოპერირებადი მიმწოდებლები (უცხოელი კონკურენტებისაგან განსხვავებით) წარმოების პროცესში ნაკლებად იყენებენ სტანდარტებს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ტენდერის წარუმატებლად დასრულების ალბათობა. აქედან გამომდინარე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე საჭიროა შეაფასოს ის დადებითი მხარეები და ის რისკები, რაც სტანდარტების

გამოყენებასთან არის დაკავშირებული და მიიღოს არგუმენტირებული გადაწყვეტილება რაციონალურობის პრინციპის გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს³. აღნიშნული რეგულაციის მიზანს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მხოლოდ სტანდარტული, ფართოდ გავრცელებული და ყველასთვის გასაგები ტერმინოლოგიის დამკვიდრება განეკუთვნება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული რეგულაცია არ გულისხმობს სტანდარტების სავალდებულოდ გამოყენებას. შესაბამისი კანონმდებლობის, კერძოდ კი, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის თანახმად, სტანდარტი არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, რაც ნიშნავს იმას, რომ სტანდარტის გამოყენება შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ნებაყოფლობითია⁴. შესაბამისად, მიმწოდებლის მხრიდან სტანდარტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

³ იხ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის No.12 ბრძანებით დამტკიცებული [ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი](#).

⁴ სტანდარტისგან განსხვავებით, სავალდებულოა გამოყენებისათვის ტექნიკური რეგლამენტი, რაც განსაზღვრავს/ადგენს პროდუქტის, ასევე წარმოების პროცესის უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. ტექნიკური რეგლამენტები, პირველ ყოვლისა, რელევანტურია მეწარმე სუბიექტებისათვის. შესაბამისად, წინამდებარე მეთოდურ მითითებებში ტექნიკურ რეგლამენტზე ყურადღება არ მახვილდება.

2. საქართველოში მოქმედი სტანდარტები

საქართველოში მოქმედებს შემდეგი ტიპის სტანდარტები:

- საქართველოს სტანდარტი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ⁵;
- საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციის სტანდარტი – სტანდარტიზაციის საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციის (ISO, IEC, CEN, CENELEC⁶.) მიერ მიღებული სტანდარტი, რომელიც შესაძლებელია საქართველოში მიღებულ იქნას საქართველოს სტანდარტად⁷.
- საწარმოს შიდა სტანდარტი – მეწარმის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება. საწარმოს შიდა სტანდარტი სხვა პირებისათვის სტანდარტად არ განიხილება და ის არ საჭიროებს რეგისტრაციას.
- დეკლარირებული სტანდარტი – სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის , საწარმოს შიდა სტანდარტზე.

⁵ შესაბამის სფეროში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. იხ. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁶ საქართველოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტო მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან ასახელებს შემდეგს: [ISO](#) – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; [IEC](#) – საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია; [CEN](#) – ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი; [CENELEC](#) – ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი. საქართველოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტო არის აღნიშნული ორგანიზაციის ოფიციალური წევრი (იხ. [ISO](#); [IEC](#); [CEN](#); [CENELEC](#))

⁷ აღნიშნული სტანდარტების ნახვა შესაძლებელია საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე www.geostm.ge, სადაც ასევე განთავსებულია „იდენტური“ თარგმნის მეთოდით მიღებული საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიების კატალოგი.

- სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი (“გოსტ”)-რომელიც საქართველოში გამოიყენება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების 1998 წლის 13 მარტის შეთანხმების „სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციის და მეტროლოგიის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ საფუძველზე.
- გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა სტანდარტები რეგისტრაციის გარეშე⁸.

საქართველოში სტანდარტის პროექტი შეიძლება შეიმუშაოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. თუ პირს სურს მის მიერ შემუშავებული სტანდარტის საქართველოს სტანდარტად რეგისტრაცია, მან უნდა მიმართოს საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს დასაბუთებით, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულ სფეროში არის ფართო მოთხოვნა სტანდარტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტანდარტი გამიზნულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. სტანდარტიზაციის პროცესში პარიტეტულ საფუძველზე მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს (მწარმოებლები, მომსახურების მიმწოდებლები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები, მომხმარებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა). აღსანიშნავია, რომ სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი⁹ არ განიხილავს საქართველოში შემუშავებულ სტანდარტს იმ სფეროში, სადაც არსებობს საერთაშორისო სტანდარტი და სადაც არ არის ფართო მოთხოვნა სტანდარტზე.

⁸ იხ. იხ. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 67-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹ ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ ნებაყოფლობით და პარიტეტულ საფუძველზე. ტექნიკური კომიტეტის ფუნქციაა საქართველოს სტანდარტების შემუშავება/მიღება კონსენსუსის საფუძველზე.

3. სტანდარტების აღნიშვნები

ყოველ სტანდარტს აქვს შესაბამისი აღნიშვნა. საქართველოში სტანდარტების რეესტრში სტანდარტის რეგისტრაციის ნომერი დგება საერთაშორისო კოდიფიკაციის შესაბამისად:

- რეგისტრაციის ნომრის პირველი სამი ასო (სსტ) აღნიშნავს, რომ სტანდარტი რეგისტრირებულია საქართველოში. მომდევნო ორი ან სამი ასო აღნიშნავს იმ საერთაშორისო ან რეგიონალური ორგანიზაციის დასახელებას, რომლის სტანდარტიც მიიღება საქართველოს სტანდარტად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ მითითებულია სტანდარტის რიგითი ნომერი სტანდარტების რეესტრის წარმოებისა და სტანდარტის რეგისტრაციის წესის შესაბამისად.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სტანდარტები რეგისტრაციის გარეშე, სტანდარტის მითითების თუ მოთხოვნის შესრულების/შეუსრულებლობის შეფასებისათვის გასათვალისწინებელია სტანდარტების შემდეგი საერთაშორისო/ევროპული აღნიშვნები:

- აღნიშვნა ISO/IEC¹⁰ ნიშნავს, რომ სტანდარტი მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციების (ISO/IEC) მიერ. ანალოგიურად, აღნიშვნა EN¹¹ გულისხმობს, რომ სტანდარტი მიღებულია სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების მიერ (CEN, CENELEC)
- სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების მიერ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტის მიღების შემთხვევაში სტანდარტის აღნიშვნა იქნება შემდეგი სახით წარმოდგენილი: EN ISO ან EN IEC.
- ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საერთაშორისო სტანდარტი უცვლელად იქნეს მიღებული („თავფურცლის

¹⁰ ქართული აბრევიატურა „იეკ“.

¹¹ ქართული აბრევიატურა „ენ“.

თარგმნის“ მეთოდით) სხვა ქვეყნის მიერ. მაგალითად, თუ ISO სტანდარტი უცვლელად არის მიღებული გერმანიის მიერ, მას ენიჭება აღნიშვნა DIN ISO. ანალოგიურად, DIN IEC ნიშნავს, რომ საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტი ტექსტის ცვლილების გარეშე იქნა მიღებული გერმანიის ნორმირების ინსტიტუტის (DIN) მიერ;

- იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, გერმანიის ნორმირების ინსტიტუტის მიერ უცვლელად იქნა მიღებული ევროპული (სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის მიერ მიღებული) სტანდარტი, მას ენიჭება აღნიშვნა DIN EN;
- შესაძლებელია ასევე, რომ საერთაშორისო/ევროპული სტანდარტი უცვლელად იქნეს მიღებული სტანდარტიზაციის ყველა ეროვნული ორგანოს მიერ, მათ შორის, გერმანიის ნორმირების ინსტიტუტის მიერ. ასეთ შემთხვევაში, სტანდარტს ენიჭება აღნიშვნა DIN EN ISO. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაგალითად, DIN EN ISO 9001:2015-ის და ISO 9001:2015-ის ტექსტები შინაარსით იდენტურია. შესაბამისად, თუ პოტენციური მიმწოდებელი ფლობს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს, რომ კმაყოფილდება, მაგალითად, DIN EN ISO 9001:2015 სტანდარტი, ეს ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად კმაყოფილდება ასევე სტანდარტი ISO 9001:2015.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს შემთხვევაში სახეზე გვექნება შემდეგი სახის აღნიშვნები:

- საქართველოს სტანდარტის შემთხვევაში გვექნება "სსტ" (მაგალითად სსტ 80:2015)
- საქართველოს სტანდარტად საერთაშორისო სტანდარტის მიღების შემთხვევაში "სსტ ისო ან სსტ იეკ", შემდეგ სტანდარტის ნომერი/წელი და საქართველოში მისი მიღების წელი (მაგალითად, სსტ ისო 9001:2015¹² /2016¹³; სსტ იეკ 60071-1:2011/2014).

¹² სტანდარტის გამოქვეყნების თარიღი, მიმღები ორგანიზაციის მიერ.

¹³ სტანდარტის საქართველოში მიღების თარიღი.

- საქართველოს სტანდარტად სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების სტანდარტების მიღების შემთხვევაში "სსტ ენ" შემდეგ სტანდარტის ნომერი და საქართველოში მისი მიღების წელი (მაგალითად სსტ ენ 61207-6:2015/2016);
- საქართველოს სტანდარტად უცხო ქვეყნის სტანდარტების მიღების შემთხვევაში გვექნება "სსტ [უცხო ქვეყნის სტანდარტის ინიციალები, მაგალითად გერმანიის სტანდარტის შემთხვევაში "დინ"; ბრიტანეთის სტანდარტის შემთხვევაში "ბს" და სხვა] შემდეგ სტანდარტის ნომერი და საქართველოში მისი მიღების წელი".

4. შესაბამისი სტანდარტების ძიება

სტანდარტების სწორად გამოყენების ძირითად წინაპირობას შესაბამისი სტანდარტის სწორად შერჩევა განეკუთვნება – სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ კონკრეტულ პროდუქტზე არსებობდეს ათეულობით სტანდარტი. შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისი სტანდარტის ძიებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს, ასევე საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების ვებგვერდები. გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არაერთი ქვეყნის მიერ შედგენილი მეთოდური მითითება, სადაც დასახელებულია, როგორც კონკრეტული სტანდარტი, ასევე მისი აღწერა. ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია, როგორც სტანდარტიზაციის ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ამ ორგანიზაციების ოფიციალური ვებგვერდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია შესაბამისი სტანდარტის ძიება:

ორგანიზაცია	ვებ-გვერდი
საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო ¹⁴	http://www.geostm.ge/
სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)	http://www.iso.org/iso/home.html
საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია (IEC)	http://www.iec.ch/
ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი (CENELEC) ¹⁵	https://www.cenelec.eu/
ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი (CEN)	https://www.cen.eu/Pages/default.aspx

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, მოიძიება ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტის სრული ტექსტის ნახვა უკავშირდება ხარჯებს, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე აქვეყნებენ სტანდარტების მოკლე აღწერებს. ანალოგიურად, უცხოური ენის ცოდნას საჭიროებს საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებების პოვნა და გამოყენება.

შესაბამისი სტანდარტის შერჩევის, ერთი შეხედვით, ყველაზე გამართლებულ მიდგომას განეკუთვნება შემდეგი პროცესი, რომელიც, ძირითადად, სამი ნაბიჯისგან შედგება:

ნაბიჯი 1: სტანდარტის ძიება საკვანძო ფრაზით გულისხმობს შესაბამისი ორგანიზაციის ვებგვერდზე იმ სტანდარტების ჩამონათვალის გენერირებას, რომელთა მოკლე აღწერაც შეიცავს მომხმარებლის მიერ მითითებულ ფრაზას.

მაგალითად, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ვებგვერდზე სიტყვა “chairs”-ის მითითებით გენერირდება ოცამდე სტანდარტი, რომლებშიც მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს მისი საჭიროების შესაბამისი სტანდარტი.

¹⁴აღნიშნულ ცხრილში მოცემული ორგანიზაციების ჯამში 9 500-ზე მეტი სტანდარტი მიღებულია საქართველოს სტანდარტად და ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდის მეშვეობით.

¹⁵CEN, CENELEC-ის სტანდარტები ხელმისაწვდომია მხოლოდ სააგენტოს მეშვეობით. ISO და IEC სტანდარტების შექმნა შესაძლებელია სააგენტოს გარეშეც.

გენერირებული ჩამონათვალი მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც მომხმარებელი აფართოებს მის საძიებო ფრაზას. მაგალითად, “office chairs”-ის მითითებით, სტანდარტების გენერირებული ჩამონათვალი მცირდება ორ სტანდარტამდე, კერძოდ, ISO 21015: 2007 და ISO/TR 24496: 2012.

ნაბიჯი 2: უკვე გენერირებულ სტანდარტებში შესაბამისი (საჭირო) სტანდარტი შეირჩევა ყოველი კონკრეტული სტანდარტის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული მოკლე ინფორმაციის შესწავლით. მაგალითად, სტანდარტი ISO 21015: 2007 აღწერს საოფისე სკამების მედეგობის, გამძლეობისა და სტაბილურობის დასადგენად საჭირო ტესტირების მეთოდებს კონკრეტული მასალებისა და დიზაინის ელემენტების დაკონკრეტების გარეშე. შესაბამისად, მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენით დადასტურდება, რომ საოფისე სკამის კონკრეტულ მოდელს გავლილი აქვს ტესტირება ISO 21015: 2007-ის მიხედვით, რაც თავისთავად დაადასტურებს, რომ აღნიშნული მოდელი გამძლე და მედეგია.

ნაბიჯი 3: მიწოდების ბაზრის მზაობის შეფასება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას იმის შესახებ, თუ რამდენად მზად არიან შესაბამის მიწოდების ბაზარზე ოპერირებადი მიმწოდებლები, დააკმაყოფილონ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში სტანდარტების გამოყენებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ძირითად საფრთხეს შესაძლებელია განეკუთვნებოდეს, მაგალითად, ის, რომ ქვეყნის რომელიმე კონკრეტული შიდა ბაზარი ნაკლებად განვითარებულია. შესაძლებელია, რომ რომელიმე მეწარმე აწარმოებდეს მის პროდუქციას გარკვეული სტანდარტის შესაბამისად, თუმცა არ გააჩნდეს შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ხარისხის სერტიფიკატი გააჩნდეს მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის მწარმოებელ ორგანიზაციას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებული პრაქტიკაა, შესაბამისი მიწოდების ბაზრის კვლევის ჩატარება და, საჭიროების შემთხვევაში, პოტენციურ მიმწოდებლებთან

ღია კარის დღეების წარმართვა¹⁶, რომელთა ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლებთან უშუალო კონტაქტით შეძლებს შეაფასოს, თუ რამდენად მიღებულია კონკრეტული სერტიფიკატი ქვეყანაში ოპერირებადი პოტენციური მიმწოდებლებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ, მაგალითის სახით მოყვანილი სტანდარტები დასახელებულია საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ შემუშავებულ და გამოცემულ არაერთ მეთოდურ მითითებაში¹⁷. შესაბამისად, რელევანტური სტანდარტის ძიება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულ მეთოდურ მითითებებშიც. მაგალითად, ვებგვერდზე <http://www.andres-kopiersysteme.de/wissenswertes/papier-abc/> მოცემულია პრაქტიკული მითითებები ქაღალდის სპეციფიკაციებთან დაკავშირებით. ვებგვერდზე მოყვანილი პრაქტიკული მითითებებიდან ჩანს, რომ, მაგალითად, თუ ქაღალდი აკმაყოფილებს DIN ISO 9706 ან, შესაბამისად, ISO 9706 სტანდარტის მოთხოვნებს, მაშინ ქაღალდი გამძლეა და ნაკლებად ექვემდებარება დაძველებას, რაც სავსებით შესაძლებელია იყოს რელევანტური იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ქაღალდი საჭიროა გამოყენებულ იქნეს საბეჭდი ლიტერატურისათვის ან დოკუმენტებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ დაარქივებას.

5. ტიპური შეცდომები და სწორი პრაქტიკა

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ტიპური შეცდომა, რომლებიც ცხადყო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმართული შესყიდვების მონიტორინგმა:

მაგალითი 1: ერთ-ერთ ტენდერში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩაიდო შემდეგი პირობა: „მიწოდებული საქონელი საჭიროა იყოს

¹⁶ მიმწოდებლებთან ღია კარის დღეების წარმართვა ემსახურება მიმწოდებლებისაგან მიწოდების ბაზრის სპეციფიკის და შესაძლებლობების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღებას, ტენდერში მონაწილეობის ბარიერების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

¹⁷ იხ., მაგალითად, Normen im öffentlichen Einkauf, გვ. 11, <http://www.nachhaltige-beschaffung.info/DE/DokumentAnzeigen/dokument-anzeigen.html?idDocument=721&view=knbdownload>

ხარისხიანი, რაც დადასტურდება ISO 9001 სერტიფიკატის წარდგენით. მიმწოდებელი ვალდებულია, ატვირთოს სისტემაში ISO 9001 სერტიფიკატი“.

კომენტარი: დიდი ალბათობით, ზემოაღნიშნული მოთხოვნა ვერ უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციის სავარაუდო მოლოდინს. კერძოდ, მოთხოვნიდან, ერთი შეხედვით, იკვეთება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მოლოდინს „ხარისხიანი“ საქონლის მიღება წარმოადგენდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ISO 9000-ის კატეგორია (მათ შორის სტანდარტი ISO 9001) ადგენს ნორმებს საწარმოში მიმდინარე მართვის პროცესების ხარისხთან დაკავშირებით. კონკრეტულად ISO 9001 განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საწარმოში დანერგილმა პროცესებზე ორიენტირებულმა ხარისხის მართვის სისტემამ ისეთი ფუნქციების/ბიზნესპროცესების ფარგლებში, როგორებიცაა, მაგალითად, საწარმოს მენეჯმენტის პასუხისმგებლობა, რესურსების მართვა, რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცესების მართვა, ანალიზი და გაუმჯობესების გზები. ამასთან, სერტიფიცირების ფარგლებში ხორციელდება გარკვეული პერიოდისათვის დაგეგმილი ქმედებებისა და მიზნების ფაქტობრივ შედეგებთან შედარება. შეუსაბამობის შემთხვევაში, იდენტიფიცირდება გაუმჯობესების პოტენციალი, იგეგმება პროცესების ხარისხის გაუმჯობესების გზები და კონკრეტული ნაბიჯები. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ISO 9001 სერტიფიკატის მფლობელობა არ ნიშნავს, რომ აღნიშნული კომპანია აუცილებლად მიაწვდის შემსყიდველ ორგანიზაციას „ხარისხიან“ საქონელს.

მაგალითი 2: ერთ-ერთ ტენდერში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩაიდო შემდეგი პირობა: „მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს“.

კომენტარი: ზემოაღნიშნული მოთხოვნა არასწორი, ბუნდოვანი და დამაბნეველია მიმწოდებლისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ კონკრეტულ პროდუქტზე შესაძლებელია არსებობდეს ათეულობით სტანდარტი. მაგალითად, ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე

ძიება ფრაზით „ჭის საფარი (Gully top)“ აგენერირებს 100-ზე მეტ სტანდარტს. წარმოუდგენელია, მიმწოდებელი ფლობდეს შესაბამისი რაოდენობის სერტიფიკატებს, რითაც დადასტურდება, რომ იგი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას.

სწორ პრაქტიკას წარმოადგენს მითითება, თუ კონკრეტულად რომელ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საქონელი. მაგალითად, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას წარმოადგენს ჭის საფარი, რომელიც საჭიროა უძლებდეს, მაგალითად, დიდ დატვირთვას (მაგალითად, ავტომობილის მასას), მაშინ შესაძლებელია ზემოაღნიშნული საძიებო ფრაზით გენერირებული ჩამონათვალიდან ამორჩეულ იქნეს სტანდარტი EN 124 (შედგება ექვსი ნაწილისგან), რომელიც ადგენს ჭის საფარების მედეგობასა და სიმყარეს.

მაგალითი 3: ერთ-ერთ ტენდერში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩაიღო შემდეგი პირობა: „პროდუქცია უნდა იყოს სერტიფიცირებული და მწარმოებელს გააჩნდეს აღნიშნული პროდუქციის წარმოებაზე EN-ISO 9001 სერტიფიკატი“.

მას შემდეგ, რაც მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა ISO-9001 სერტიფიკატი, ის დისკვალიფიცირებულ იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, იქიდან გამომდინარე, რომ მან წარადგინა არა EN-ISO 9001, არამედ ISO-9001 სერტიფიკატი.

კომენტარი: ზემოაღნიშნულ მაგალითში დაშვებული ერთ-ერთი შეცდომა, კერძოდ ჩანაწერი „პროდუქცია უნდა იყოს სერტიფიცირებული“ იდენტურია პირველ მაგალითში დაშვებული შეცდომისა. გარდა ამისა, მიმწოდებელს არ ეკუთვნოდათ დისკვალიფიკაცია (და მას შეეძლო გაესაჩივრებინა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება) სტანდარტების აღნიშვნებიდან¹⁸ გამომდინარე. კერძოდ, სტანდარტი EN ISO 9001 და სტანდარტი ISO 9001 იდენტურია. განსხვავება

¹⁸ სტანდარტის აღნიშვნები განხილულია წინამდებარე მეთოდური მითითებების მე-4 ნაწილში.

აღნიშვნაში გამომდინარეობს იქედან, რომ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტი ISO 9001 უცვლელად იქნა აღიარებული ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის მიერ.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

- ✓ მაღალი ხარისხის შესყიდვის ობიექტის მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებულია სპეციფიკაციების ხარისხზე. სპეციფიკაციების ფარგლებში შესაძლებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ მითითება გააკეთოს კონკრეტულ სტანდარტზე;
- ✓ კონკრეტულ სტანდარტზე მითითებამდე გასათვალისწინებელია სტანდარტის მითითების, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც შესყიდვის ობიექტი იწარმოება ქვეყნის შიგნით, კონკრეტულ სტანდარტზე მითითება მნიშვნელოვნად ზრდის ტენდერის წარუმატებლად დასრულების ალბათობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის მოძიება პოტენციური მიმწოდებლებისა და მათი შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სტანდარტები რეგისტრაციის გარეშე;
- ✓ სადავო საკითხების თავიდან აცილების მიზნით, როგორც კონკრეტულ სტანდარტზე მითითებისას, ასევე შერჩევა-შეფასების ეტაპზე გასათვალისწინებელია სტანდარტების აღნიშვნები, მაგალითად, შესაძლებელია, რომ ორი სტანდარტის რეგისტრაციის ნომერი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მიუხედავად იდენტური ტექსტებისა;
- ✓ სატენდერო დოკუმენტაციაში კონკრეტულ სტანდარტზე მითითებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროა ზუსტად გაერკვეს, თუ რას გულისხმობს ეს სტანდარტი და არის თუ არა ის შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისი. სტანდარტის შინაარსის შესახებ პირველადი მოკვლევა შესაძლებელია განხორციელდეს საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ოფიციალური ვებგვერდების საშუალებით,



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY



Centre for International
Migration and Development
a joint operation of IZ and the
German Federal Employment Agency

სადაც სტანდარტიზაციის შესაბამისი ორგანიზაციები აქვეყნებენ
სტანდარტების მოკლე აღწერებს.